

1, 3, 4, 6, 9, 13 - 24.

6982



სამეცნიერო  
ცენტრული ბიბლიოთეკი

# ნეკაღული



საქართველოს უნივერსიტეტი

მდგრადი მასთაბის

ჭ დეკემბერი სეზ 23-24. 1916 წ.

## ”ଦ୍ୱାରାଧୁଣୀ“-ର କ୍ରମାଚିତ୍ରିତ୍ୟ

ଲୋ

ବିରଜ-ପାଠୀଙ୍କୁ ସାହିତ୍ୟରେ କୋଣରେ ବାଲବିଜ୍ଞାନ ପିଲାଇବା କାମକାଳୀ :

- 1) ଫୁଲିକ ତାପ୍ତିକାରୀତାବାଦୀକ, —ତଥୀ. ମରି ପ୍ରେରିତିବା, ତାର୍ଗତି.  
ଘର. ପ୍ରିୟମିନିତିବା, ଘୋଷି . . . . . 50 ଟ.
- 2) ରାତ୍ର ଦ୍ୱୟାମିତିବାଦୀ ପତାକି, —ତଥୀ. ଅସ୍ତ୍ରବାହିନୀକୁଟିବା, ତାର୍ଗତି.  
ଘ. କାନ୍ଦୁରାନୀନିତିବା, ଘୋଷି . . . . . 20 ଟ.
- 3) ଶାୟମାର୍ତ୍ତିକାଲିତ ମନତଥରିନୀଦେଖି, —ନିନିକ ନାଯାମିନିତିବା ଘୋଷି . . . . . 10 ଟ.
- 4) ବ୍ୟାନ୍ତିଜୀବ ଓ ମାରିଲ୍ଲେଇ, —ବେଶିବାବ ମନତଥରିନୀଦେଖି, କାନ୍ଦୁରାନୀରେ  
ଦ୍ୱାରାକ୍ରିଯିତିବା, ତାର୍ଗତିବା ନିନିକ ନାଯାମିନିତିବା, ଘୋଷି . . . . . 25 ଟ.
- 5) ଫାଲ୍ଗୁନୀତେବ୍ରତୀଲିତ ଶାୟମାର୍ତ୍ତିକାଲିତ ମନତଥରିନୀଦେଖି କ. ଜ. ଏନ-  
ଦ୍ୱାରାକ୍ରିଯିତିବା, ଘର. ଶ୍ରୀ. ପ୍ରମତ୍ତିବାନିତିବା, ଘ. ନିନ୍ଦାନିତିବା  
ଓର. କିଳିନିବାନିତିବା, ଘୋଷି. . . . . 30 ଟ.
- 6) ଦାତ୍ତିଶ୍ଵରିଦା ଓ ଶୈଖିମ୍ବିନୀ.—ମନତଥରିନୀଦା ଲ୍ୟାଙ୍କ. ପ୍ରାଣୀପ୍ରାଣ-  
ବା, ତାର୍ଗତି. ନିନିକ ନାଯାମିନିତିବା, ଘୋଷି. . . . . 60 ଟ.
- 7) ନାନୀ ମିଶାତ୍ରାନୀ, —ତାର୍ଗତିବାନୀ ଲ୍ୟାଙ୍କ. ଅସ୍ତ୍ରବାହିନୀକୁଟିବା, ଘୋଷି . . . . . 15 ଟ.
- 8) ବେଶିବାବିଲିତ ଶ୍ଵର୍ଣ୍ଣଦେଖି ଶାର୍କିକ୍, ଫାଲ୍ଗୁନୀତେବ୍ରତୀଲିତ ଶାୟମା-  
ର୍ତ୍ତିକାଲିତ ମନତଥରିନୀଦେଖି, —ଗୋଟିଏ ଲ୍ୟାଙ୍କିଲିତିବା, ଘୋଷି. . . . . 30 ଟ.
- 9) ଶିଳବା, ମନତଥରିନୀଦା ଗୁରୁତିବା ପ୍ରତ୍ୱାର୍ଥଦେଖିଦାନ, —ନିନିକ ନା-  
ଯାମିନିତିବା, ଘୋଷି. . . . . 5 ଟ.
- 10) ଅନ୍ତିମାଶିରିଦା ମେଘିବା ଶୈଖିମାନୀ ଓ ଦ୍ୱୟାମି—ଦ୍ୱୟାମିକାରୀ,  
ନାନୀ ମନତଥରିନୀଦା ଶୈଖାର ଶୂନ୍ୟିକାରୀତିବା, ତାର୍ଗତି. ଏବଂ  
ମାଝେମାନିନିତିବା, ଘୋଷି. . . . . 5 ଟ.
- 11) ଧାରା, —ଗର. ପ୍ରେଲ୍‌ମେଲିନିତିବା, ଫାଲ୍ଗୁନୀଦେଖିବା,  
ତାର୍ଗତି ଏବଂ ଶେନ୍‌ମିଳାଶ୍ଵେତିକାରୀତିବା, ଘୋଷି. . . . . 5 ଟ.
- 12) ମନତଥରିନୀଦେଖି, —ଲ୍ୟାଙ୍କିରିଲ୍ୟାଙ୍କିବା ଓ ଶିଶୁ ଶ୍ରଦ୍ଧା ମିଶି-  
ର୍ତ୍ତିକାଲିତିବା. . . . . 5 ଟ.
- 13) ପନ୍ଦିତ-ଶାର୍କିକ୍, —125 ଫାଲ୍ଗୁନୀତେବ୍ରତୀଲିତ, ବେଶିବାବ ମନତଥ-  
ରିନୀଦେଖି, ଅସ୍ତ୍ରବାହିନୀ ଶୁରୁବାତିତ, ଲ୍ୟାଙ୍କ. ମିଳିନାନୀଶ୍ଵେତି-  
କାରୀତିବା, ଘୋଷି. . . . . 75 ଟ.
- 14) ଶିଳିକ ତମିତି ଶ୍ରୀନିବାସ, —ରାମିନି ଶିଳିବାନୀ-ଶ୍ରୀନିବାସ-  
ଶିଳିକାରୀତିବାଦୀ ପତାକି ଦ୍ୱାରାକ୍ରିଯିତିବା, ଶୁରୁବାତିତ ଓ  
ଦିନାବିରାମିତିବା, ତାର୍ଗତିବା ମ. କୁଳିମିଳାଶ୍ଵେତିକାରୀତିବା. 1 ଟ. 25 ଟ.



ଓଡ଼ିଆ  
ପ୍ରକାଶନ

୧୯୧୬ ଜାନୁଆରୀ ୧୦ ॥ ୨୩-୨୪ ॥ ୧୯୧୬ ଜାନୁଆରୀ ୧୦, ୧୯୧୬ ॥



ହିନ୍ଦୁରେଣ୍ଡିଙ୍ ପର୍ମେସନ୍ସଟିଂକୁଲାଙ୍କା.





საქართველო  
ეროვნული ბიблиოთეკი

70101.00000000 შინაარსი:

I—ჩიტების დღესასწაული,—სურათი.	1
II—სახლის ნუგებინი,—ლექსი გიგო თემისხვეველისა . . . . .	3
III—ძმობილები,—(საშობაო მოგონება) დ. ძებამიძისა . . . . .	7
IV—პირელი შობის ხე,—ლეგენდა, თარგმანი შარიამ პატაშვილისა . . . . .	23
V—ზამთარი,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა . . . . .	26
VI—ჟაშვილი,—ლექსი დ. ძებამიძისა . . . . .	27
VII—სამხეცები,—(უირაფის ნამშობი) თარგმანი ალ. მითოვშვილისა . . . . .	28
VIII—გასართობი:—სიტყვათა თამაში, რებუსი და ახსნა . . . . .	29



## სახლის ნუგეშნი

(საშობაო სურათი)



ოველ წელიწადს მიტუშა  
შობის სეს იუთ ჩევული;  
პაგრამ წრეულს კი ღაუდგა  
ღრო სამწესარო, წევული.

მამა ომმი ჰეაკს წასული,  
დედა სახლში ჰეაკს აებდა;  
სასწავლებლიდან პირდაპირ  
შინ მორბის სანახავადა.

მიუალერსებს, დაჰქოცნის  
თავის საევარელ დედიკოს,  
და მერძე შეეხვეწება  
უძროსსა დასა ქეთიკოს:



—ଶ୍ରୀ ପ୍ରତ୍ଯେକ ଧାରୀଦରମନ୍ଦିରଙ୍କ,—  
ଏହି ଗାନ୍ଧାରୀଜୀବିରୁଦ୍ଧ ଧୈର୍ଯ୍ୟ,  
ଏହିପରି ଗଠିତକରିବାକୁ—ଅଶ୍ଵରଜ୍ଞଲ୍ଲଭ୍ୟ,  
ଶୁଣିବେ ନୀ ଗାନ୍ଧାରୀଜୀବିରୁଦ୍ଧ।

ორ კვირას დათხოვილი გარ  
სკოლიდან სამობზოდა;  
შენ დედას უკრი დაუბრე;  
მე წავალ სამუშაოთა.

ଶ୍ରୀରାଜ ଆର୍ଦ୍ର ପକ୍ଷିକୀୟ, ନେତ୍ରଚାଳ  
ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ରପାତ୍ରିକା;  
ଆର ଶ୍ରୀଗୋଟିର୍ଣ୍ଣଶ୍ରୀରାଜ ପାତ୍ରପାତ୍ରିକା,  
ନେତ୍ରଚାଳ ପକ୍ଷିକୀୟ.

უთხრა და წამსვე მოკურცხლა,  
გაიქცა მოედანზედა;  
ცხოვრებას აღდო აუდო,  
გაჰევა-გამოჰევა განზედა:

ხან ვის წაუღებს ნაძვის ხეს,  
ხან ხანოვაგის კალათხა;  
ქეთიკოს კაბას უეიდის,  
და თავისათვის—ხალათხა.

ରେଣ୍ଡିନ୍‌ଟେକ୍ନିକ୍ସ—ତଥାଲୀନ କ୍ଷେତ୍ରଗତି;  
ଅଳ୍ପକ୍ଷରେ ମାର୍କେଟିକ୍ ଉପରେଇବା.  
ଶ୍ଵାସଲ୍ଲାଙ୍କନ ତାଙ୍କରେତା ହେଉିରା  
ମୁଦ୍ରିତକ୍ଷଣରେ ତଥାଲୀନ ଏବଂ ପ୍ରାଚୀନତା.



სახლში კი მისი დაიკო  
დედას უფრთვნის საბანსა;  
სან ჟურს მიუტანს, სან წეალსა,  
სან ხელაპირისა საბანსა.

ჰქოცნის და ართობს ტიკტიკით  
თავის საუფარევლ დედიკოს;  
მისი ძუძუ და ამავი  
არ ავიწედება ქეთიკოს.

მიტუშა მოდის ავსილი,  
თან ძტო უჭირავს ნაძვისა.  
სახლისა გახარებაში  
აბა ვინ მიებაძეისა?

წინ მიეგება ქეთიკო:  
— ვინ მოგცა გენაცვალეო?!  
დედილო ახლა უქმო გმიშავს,  
ვეხზე აღგება მალეო.

მიტუშა გადახვევა,  
უფალს უმაღლის შველასა;  
მობის ხეს კვარსა გაუთლის,  
ჭირშიც მოალსენს ეველასა.

კარგი ბიჭია მიტუშა,  
ცუდად არასდროს დადგება:  
სან მეპურესთან მიირბენს,  
სან ნავთის რიცხი ჩადგება.

პარტი ქალია ქეთიკოც,  
მიტოს არ ჩამოურჩება:  
სინ დედას მიუაღერსებს,  
სან თოვინებში ჩაჯდება.

უნდათ, რომ მამას არ დახვდეს  
ოჯახი ჩამობურვილია.  
ღმერთო, შენ აუსრულევი  
მიტოს და ქეთოს სურვილი.

ბიბო თემისხელება.





## მ მ ო ბ ი ლ ე ბ ი

(საშოათ შოგონება)

### I

მჩემბრის ოცნება. ორი იურ. თელავის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს სახეზე უხომო სიხარული და მისგან გამოწვეული მღელვარება აღბეჭდოდათ: გაკვეთილების შემდეგ სასობოდ ორი კვირით გვია თხოვდნენ. მე ჰირკველ განეოფილებაში ვიუავი.

მესამე გაკვეთილზე რომ დაირევა და მოწაფეები კლასება შევედით, ფანჯარაში ერთმა უფროსი კლასის მოწაფე შე მოჰქო თავი და გვახარა:

— ამ გაკვეთილის შემდეგ დაგვითხოვენ: თქვენმა მასწავლებელმა მოწმობები უბეძი დამაღა, რომ ვერ მიხვდეთ და თხოვნით თავი არ მოაბეზროთ!

მასწავლებელი რომ კლასში შემოვიდა, სულ მის უბეს ვათვალიერებდი, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე: სერთუკი წერ-

ულებრივად გამოწეობილი ედგა,—არსად გამობერილი, არსად დაგუდებული...

— დღესაც ოთხი გაკვეთილი გვექნება!—ვიფიქრე შე:—ჩვენ სოფლის ძის კი ოცდას ხუთი ვერსია: როდის-და უნდა მივიღეთ?!

სკოლის ეზოში სახრით ხელში დაუიაღობდა გულიანთ გიგოლა; მას ჩვენი სოფლიდან თელავში ჭარბილი წამოედო გასასეიდათ და, რაკი ჩემი და სხვა ძილდელი მოწავეების მშობლებისაგან დაგალებული ჰქონდა ჩვენი წამოუვანა, გაკვეთილების გამოსვლას უცდიდა.

— უჲ, რა გრძელი გაკვეთილია, ბოლო ადარ უჩანს!—ვიფიქრობ შე:—ალბად ჩვენი აღმზრდელი ნიკოლოზ კირილეს ქე მოწმობებში ნიშნებსა სვამს და ზარის დარევებ დაჭირებდა!

— ძებაძიმე!—მომესმა მასწავლებლის ხმა.

მე სწრაფად წამოვხტი და, რადგან არ ვიცოდი, რისთვის წამომაუქნა, მასწავლებელს შეკითხვის გამომეტეველი თვალები მივაპუარ.

— გაუსწორე!—სთქვა მასწავლებელმა.

გვერდზე მივიხედვე: ჩემი ამხანავი ფეხზე იდგა, თავი ჩაუდუნა, ხალათი ქამრიდან მთლად ამოსხეხოდა; ეტეობოდა—გამმეთილის წინ ეფალავნა. მე მას ხალათის სწორება დაუწევე მოწავლეებმა სარხარი ასტეხეს.

ჭირის ოფლადა დამასხა: მიგხდი, რომ ამხანავისთვის ხალათი კი არა, მასუსი უნდა გამექსწორებინა. ჩემი უეურადებობის გამო ამხანავების დაცინების საგნად გავხდი. მთლად დამავიწევდა მოწმობაც, გიგოლაც და ძილდაც. ჩემდა უნებურად კონებამ რადაც მუშაობა იწეო, და მესსიყრების ზედანირზე ამოტივტივდა სიტევები: თხუთმეტს გამოვაკლოთ რეა...

— თხუთმეტს გამოვაკლოთ რვა, დარჩება შვიდი!.. წამო  
ვიძახე მე.

მოწაფეებმა სიცილი შესწევიტეს.

— დაჯექ!—მითხრა მასწავლებელმა.

— გაიძეორე:—მიუბრუნდა ის ახლა ჩემ ამხანაგს.

ჭოთ საკვირველებაა! ჩემი, მეუგნებლად წამოსროლილი,  
ჰასუხი სწორე გამოდგა! მე კმაულფილებით ამხანაგბს გა-  
დაკტედე.

— ნააღრევი იუთ თქვენი დაცინვა!—ვეუბნებოდი მათ ჩემ  
გულში:—თქვენ გეგონათ, რომ მე ეურს არ უგდებდი? უკაც-  
რაგად, მალიან სცდებით!..

ას, ნეტავი გაჲვეთილი გაგრძელდეს, რომ კიდევ ბეჭრ  
სხვასაც გაუსწორო შეცდომა!

ამ ფიქრში რომ ვიუავ, გაისმა ზარის წკრიალი...

მასწავლებელმა სერთუკის ღილები გაიხსნა და აქეთიქით  
უბიდას გამოიდოთ ორი თანატოლი დასტა მოწმობებისა. მა-  
ლიან გამიკვირდა, რომ მის კლასში შემოსვლის დროს ჩემ  
თვალს მოწმობები შეუმჩნეველი გადურჩა!

მიუიდე მოწმობა და გამოვეარდი გარედ. ნიშნები გმა-  
რიანი მქონდა, მაგრამ ვინ ფიქრობდა ნიშნებზე? ახლა საქმე  
მია წასვლა იუთ!

მე და სხვა ჩემი სოფლები მოწაფეები გიგოლას გარს  
შემოვეხვიეთ და წავიდეანეთ ურემთან, რომელიც სასწავლებ-  
ლის გარედ მოედანზე დაეუქნებინა. ათიოდ წამმი ეკელაყერი  
შხად იუთ. ჩაეგარეთ საცდების ბოსტები და აბუები ურემში;  
ერთი ჩვენი ამხანაგი ჟედ დაკსეით, რომ ბარგისთვის უური  
ეპდო, ურძიდან არაფერი ჩამოვარდნილიერი, და ჩვენ ფუ-  
ნით დავეძვით აღაზნის ველისკენ.

## II

მთელი ოთხი თვე გავიდა, რაც არ მენახა მძობლები, მეუზობლები, თანშეზრდილი ამსანაგები, რომელთა მორის თრი: ბურდიანთ ჩიგლა და თიბელანთ ფირუზა—ჩემი მმად ნაყიცნი იუგნენ.

სოფლის სკოლაში სწავლის დროს დაუშობილდი მათ. ფირუზას ვიღაცის გან გაეგონა, რომ მმად შეუიცვის დროს ამსანაგები ვერცხლის წეალს დადევენ სოლმე. ჩემი ნამდებალი წარმოდგენა არა გვქონდა ვერცხლის წეალზე; ამიტომ ეს წესი ჩვენებურად, ბავშვურად შევასრულეთ: ჯამში წეალი ჩაეპასხით, მიგ იბაზით ჩანაფხევი ჩაფეარეთ და სამივებ გამოვცდეთ.

მართლაც, მას შემდეგ უფრო განმტკიცდა ჩვენი მეგობარობა: კალოზე, საბანაოდ, მავევალზე თუ სოკოზე,—სულ ერთად დავდიოდით; უერთმანეთოდ ერთი თხილის გულსაც არ შევწამდით, კრთის ჭირსა და ლხინს სამნივე ვიზიარებდით.

როცა სადმე წასელა გვინდოდა, ან რამე სასუსნავი გვქონდა, ფირუზა ჩიგლას ჩამოუვლიდა და დაუძახებდა; მერე თრიავენი ჩვენი ეზოს კარებთან მოღებოდნენ, ორივე ქელის სალოკი თითებით ენას შიგნით შეიბრუნებდნენ და მერე ისე დაუსტევდნენ, როგორც მატარებლის მანქანა.

ეს ჩვენი ნიძანი იქთ: მე მაშინვე ქედს წამოვგვლებდი ხელს და მათენ გავრმოდი.

ბევრი, მაღიან ბევრი მოგონება მავაგშირებდა მათთან!.. ამიტომ ახლა, როცა სასულიერო სასწავლებლის ამსანაგებათან ერთად შინისკენ თოვლით გაჰქირდილ გზაზე მივაბაკუნება.

დი, ჩემი გონიერით დასატულ შილდის სურათზე ჩიგლასა და ფირუზას საპატიო ადგილი ეჭირათ.

ჭალამდის ფეხით ვიარეთ. აქ ურმებს დავუცადეთ და შიგ ჩავსწერით; მაკრამ ათიოდ კერძი თუ გავიარეთ ფეხით: მეტად მძიმედ მიღიოდნენ კამეჩები; ჩექნი გულები კი ისე მიასწრაფოდნენ შინისკენ, თითქას ბუდიდან ამოხტომას და გაუფრენას აპირობენთ! თან ფეხებზედაც მალიან შეგმიცივდა. ამის ტომ, გავცდით თუ არა, დიჭიანს\*) და გამოჩნდა გორაზე ამავეად წამომდგარი ენისლის მთავარანგულობის ექლებია, რამდენმამე მოწაფებ გადავწევიტეთ ურმისთვის ძგარ დაგეხცა და და შინამდის ფეხით გამვლო.

ახლად შებინდებული იქო, როცა შილდაში შევედით.

აი, გავიარე მოედანი, სადაც სანატრელ ბიჭებს ბევრავედა შეგაუიდილა\*\*) გვითამაშნია. აგერ კოშკი, ზაფხულში ნამყალების გუნდი ჭიერილით რომ დასტრიალებს სოლებ თავს! აი ის ორდობეც, სადაც მე, ჩიგლა და ფირუზა სშიურად კოჭაობასა და კავლაობასა ვთამაშობდით!

უოგელი ადგილი, უოგელი შენიბა და ზოგჯერ თვით უმნიშვნელო საგანიც კი ჩემში რამე მოგონებას იწვევდა, და ეს მოტონებანი ჩემი გულის ძეგრას ისე აძლიერებდნენ და აჩქარებდნენ, რომ თავბრუ შესხმოდა და უურების წუილი გაჭკჭინდა.

შევედი თუ არა ჩექნს ეზოში, მურია უეფით გამოექანა ჩემსკენ, მაკრამ, როცა მომიახლოედ და მიცნო, უეფა წმუ-

\*) ლიქიძი ალაზნის მარტინი შევბარე ტუკი ჰევიან.

\*\*) შეგ-პილილა შემდეგში მღვიმესტეობას: ბიჭები წრეს შეადგენენ და დასხულებიან. ორი მათგან წრის შეუ პილობას. წაქცულს ვისკენაც მოექცევა თავი, წამექცეს ახლა ის უნდა ეჭილოს.

新編白香山集

კუნსა და ლაქუცხე შესცვალდა. ამას შინ ურაღდლება მიაქციეს: გაიღო სახლის კარები და გამოცვიდნენ ჩუმი დამძები.

— დათბ მოვიდა, დათბ! — უკიროდნენ ისინი გაშარებულნი.

მალე ჩვენი ოკაბის ეველა წევრები შემომეხვივნენ გარს  
და რიგ-რიგად დაძირდენს. როცა პირველმა აღტაცებამ გაია-  
რა, მამამ მოწმობა მოძირებული გადასახადის გადასახადი.

— ბოსჩა და აბგა ურემნე დავარჩინე, — უბასუხე ძე: — მოწმობა აბგაძი დევს!

მამამ ჩემი ბარების მოსატანად გულიანთსა მსახური გავ-  
ზავნა. ვიცოდი, რომ ურემი კურ ძორს იქნებოდა, მაგრამ  
ამის გაშესელა ვერ გავგედე.

— ინგბა ცუდი ნიმნები გაქვს, და იძიტომ დაბრჩინე მოწმობა ურემხე? — მეკითხება მამა.

— არა, ღმერთი არ გამიწურებს! სულ ოთხები და ხუთები მაქანებს!

— კანის კიდევ, თუ გიცუდლურნია: თაბლით  
რომ არ დაძენახო, ის გირჩევნია!

ცოტა სნის შემდეგ მსახურმა ამბავი მოიტანა, რომ უკუ-  
მი ჯერ არ დაბრუნებულა.

— ბიჭო, საიდან დაწინაურდი, რომ გიგოლა ბქამდის არ  
მოსულა?

— მე, აღნიანთ მირნბ და კეგლიანთ ვასობ ჩელთისა! დაღმხრთში დავანებეთ ურქმს თავი! — ვიცრუე მე.

— მამ აქამდის რა იქნა?

— მე რა ვიცი? იქნება ღერმს ჭინჭილაქი გამოსძვრა და  
იმის კეთებაში დაუგვიანდა!

<sup>\*)</sup> მდინარე ჩელთი შილდას დასავლეთით ჩამოუდის და ალაზანს ერთევის.

მეზავრობით დაღლილს ვახშმის შემდეგ მაღე დაჭურია მინა.

მეორე დღეს, როცა თვალები გაფახილე, მამას ჩემი მოწოდება ეჭირა და ნიშნებსა სინჯავდა.

— კარგი ნიშნებია! — სთქვა მამამ: — საქმე ის არის, რომ ბოლომდის ასე ისწავლო, თორებ წელს ხომ შენთვის სოუფლის სკოლაში ნასწავლის გამეორებაა, და ეს ბიჭობაში არ ჩაგეთვლება!

მე არაუერი უპასუხე. მარტბდ ჩაგიცე, ჰირი დავიბანე და გამოვედი უბანში.

ჩიგლა თავისთ ეზოს კარებთან იდგა. მიგვარდი და სეღლი ჩამოვართვი.

— გამარჯობა, ილავ! როგორა ხარ?

მან ციგად გამომიწოდა ხელი. მისი თვალები თითქოს უნდობლობასა და საუკედურს გამოსთქვამდნენ.

— გაგიმბრჯოს! — მიპასუხა ჩიგლამ: — ყირუსამა სთქვა, — დათა რომ მოვა, ჩვენ ადარ გვიკადრებს, რადგან იქ სხვა ამსანაგებს გაიჩენდათ.

— მართალია, იქ ბევრი ამსანაგები მეავს, მაგრამ თქვენსავით ერთიც არ მიუვარს: ჩვენ ხომ ვერცხლის წეალი გვაქვს დალეული!

— ხვალ ჩვენა და ფირუზანთ ნეკრესში მივდივართ დღეობას; შენ კი არ წამოხვალ?

— წამოვალ, მაშ, — უპასუხე მე: — ჩვენებიც მოდიან. მამას კეტუკი, რომ ერთად წავიდეთ და იქაც ერთ ბინაზე დავაშენოთ ურმები!

ამ ლაპარაცის დროს ფირუზაც გამოჩნდა.

— იცი, დათაც მოდის ჩვენთან ნეკრესში! — გასძინა ილამ. ამით მასაც გააგებინა, რომ მე ისეთივე ერთგული მმობილი

ვეუავი მათი, როგორც თელავში წასვლამდის. ამიტომ უარესას ხელის ჩამორთმევა და სალამი უფრო თბილი და გულითადი მეჩვენა.

## III წერილი — სამარტინის დღის —

დეკემბრის ოცნებათხს, შეადგის ხანს ჩვენი, ჩიგლაანთი და უირეზაანთ ფარდაგებით გადაჩარჩებული ურმები ნეკრესის გზას გაუდგა.

ძარა გზაზე რომ გავედით, ბევრ სხვა მღოცეულების ურმებს წამოვაწიეთ. ჩვენს უკან სხვა ურმები გამოხნდა. ასე რომ, ჩარდასებზე გადაუარებული ფარდაგები გზას დაუსრულებელ ჭრელ წოლად გაჰქვდა.

ჩიგლა ჩონგურის კარგი დამკერელი იუო, მე—ლექსების მთქმელი, უირეზა—მოთამაშე, და ასე, ხან ჩონგურზე დაკერით და დამღერებით, ხან ცეკვით ჩვენს ურმებს უკან მიუეცებო დით.

— გეუოფათ ფეხით სიარული: დაიღლებით! — გვითხრა და დაბ.

დედის ასეთი აზრი მე შეურაცხოფათაც მიმაჩნდა. მან რა იცოდა, რომ თელავიდან წამოსულის დროს თითქმის ორი ნეკრესის გზის ტოლა ვიარე ფეხით! ესეც არ იუხს, მე, ჩიგლასა და უირეზას რამდენჯერ გადავგივლია საკინეალოზე \*) სოკოების ძებნით და ჩაქსულებით ნეკრესის ჭალაში; სასახლის სევის ჩანჩქერთან ცეცხლი დაგვინთია, სოკოები და სევში დაჭერილი ჭიჭინები შეგვიწვავს და დაწნაურებულავართ!

\*) საკინეალო მთის ყელია, რომელზედაც მოყლე საცალფეხო გზა გადადის ნეკრესისკენ.

მე და ჩემ ამხანავებს ახლაც უკნირ სიარული და ქურუ  
ტრუში გვერჩივნა ურეზზე კდომასა და ჯავახას; მაგრამ და-  
დას ხათრი არ გაუტეხეთ და მის სააძებლად, როცა კონც  
სის \*) დაღმართს გაფრდით, დავუსხედით ურმებს და მხო-  
ლოდ მაშინ ჩამოვედით, როცა ნეკრესის ჭალას მივუახლოგ-  
რით.

ნეკრესის დვოთის-მმობლის ტაბარი თითქმის კრთი კერ-  
სის სიძაღლის მიუვალ მთაზე არის აძენებული; ამიტომ  
მლოცვანი ურმებს ამ მთის ძირას აუკნებენ.

ჩვენ რომ მიუვედით, იქ შევე მოვლი სოფელი იუო გამუ-  
ნებული სხვა-და-სხვა სოფლიდან მოსულ მლოცვავთა გადა-  
უარდაგებულ ურმებისა. აქა-იქ სუთი-ექვნი ურმის წრე გაუ-  
კეთებინათ, მუამი თოვლი გადაეჭვეტა და დაეგიზგიზებინათ  
ვეებერთელა კოცონები, რომელთაც გარს ბაჟმები შემთხვე-  
ვოდნენ და თბებოდნენ.

როცა გამეჩები გამოვუშვით და დავლაგდით, ჩვენები სხვებ-  
თან ერთად ნეკრესში სანთლის ასანთებად წავიდნენ. მე და  
ჩემი მმობილებიც მათ გაევევით.

ბილიკი საკმარდ ციცაბი იუო და მასზე ასევლა კარგა  
სიძმელეს წარმოადგენდა; ამიტომ მლოცვანი, კანსაკუთრებით  
დედაგაცები და ბაჟმები, მაღი-მაღ ისვენებდნენ. ჩვენ-კი  
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ჩქარ სიარულში და დასვენება  
ფიქრადაც არ მოგვიშლია.

იმ მიუვალ მთაზე დიდებული ტაბარის ნახვამ და მისმა  
კედლების მხატვრობამ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.  
მოწიწებით შეკეურებდი პირდაპირ აღმოსავლეთის ქვედა  
დვოთის-მმობლის ვეებერთელა სურათს, რომელსაც ნიგაზთან

\*) კონცი შილდის სამზრეთით მდებარე პატარა გრძის სახელია.

ხელის გულის ტოლა ჩამონგრეული ჰქონდა. სხვა წმინდანების სურათებსაც ზოგს თვალი ჰქონდა ამოთხრილი, ზოგს ცხვირი და ზოგს უური. მამამ ამიხსნა, რომ ეს ლეგების თოფის ნასროლებია შაშილის შემოსევის ღროს. ამის გაბრძამ ჩემი სარწმუნოებრივი კრძნობა უფრო გაძლიერა.

ნეკრესის ტაბარი მიწერილია შილდის ღვთის-მშობლის მტატის საედარზე, სადაც მამხემი დიაკვნად მსახურებდა. ამი. ტომ მლოცვავთ მიერ მიტანილ საწირავს, ზედაშესა და ქადას აქაც ის იღებდა და ამწეალობნებდა. მე და ჩემი ამსანაგები ცოტა ხანს გავჩერდით მამახემთან, ვათვალიერებდით მლოცვავთ და დამწეალობნებას უწის კუპრებდით. მერე ჩვენც სანთლები დავათხეთ, ვიღოცეთ და უპანვე დაგბრუნდით.

როცა დაბლა ჩამოვედით, უკვე შებინდებული იქ. გლეხ-თაგან რამდენიმე მომღერალთა გუნდი შესდგა. მათ იწევე მლოცვავთა ურმებზე ჩამოვლა და „ალილოს“ სიმღერით ქრისტეს შობის მიღოცვა.

მე, ჩიგლამა და ფირუზამაც განვიზრახეთ ალილოზე ჩამოვლა. მე შობის ტროპარი ვიცოდი ზეპირად; მათ—მებარ-გულობა იკისრეს. შოლოოდ ხატი-ღა გვეცელდა. ამ გასაჭირი-დან გამოვგიუვანა ფირუზას დედამ, რომელსაც ნეკრესის ტა-მრისთვის შესაწირად ღვთის-მშობლის მშენიერი ხატი ეყიდ-ნა. ფირუზამ კალათა დაიტირა კვერცხებისთვის, ჩიგლამ ხი-ლისთვის გუდა წამოიკიდა, მე—ხატი და ანთებული სანთლები დავიწირე და შევუდექით საქმეს.

ჯერ ჩვენი ბინის ურმებს ჩამოუარეთ. უკელამ დიდი სია-მოვნებით მიგვიღო: ხატი, ანთებული სანთლები და ტროპა-რის სიტევები უფრო მეტ სასოებას აღუძრავდა ხალხს, ვიღრე „ალილოს“ სიმღერა; თუმცა, მართალი უნდა ითქვას, შილ-



დელები საუცხოო მოძღვრდები არიან, და მათსავით მწეოა ბრად ნამდერი „ალილო“ არსად გამიგონია.

მეორე ბინის პირველი ურემი ჩვენი ნათლი-მამის, ხაბაურაანთ ნინიასი გამოდგა. ვახშამზე ისხდნენ. ტროპარის თქმა რომ გაყათავე და ეველანი ხატს ქმთხვიფნენ, ნინიას სუფრაზე მიმიწვია, ჩემი ამხანაუებით. დავსხედით. ნათლი-მამამ ჩარექით დვინო გამომიწოდა. მე თუმცა დვინოს სრულებით არა ვსვამდი, მაგრამ კვრმნობდი, რომ უარი არ შეიძლებოდა და, როგორც მეალილოეს, უნდა მასპინძელი და მისი ოჯახი მედღეგრძელებინა. გამოვართვი ჩარექა და დავილოცე ისე, როგორც ორიოდ საათის წინ მამა-ჩემი ნეკრესის ტა-მარში ამწეალობნებდა ზედამისა და ქადის მიმტანთ.

— დმერთო დიდებულო, ნეკრესის დვითისმმობელო, და-დად სახსენებელო! შენ შეეწიე ნინიასა, იმის ცოლ-შვილსა, დიდსა, ჰარეარასა, მის სახლში მეოქისა, ბარაქა მიუც ჭიასა \*), ჭირნახულსა, ნახნაგსა, ნათესსა, უურმნის ნაწურსა, საქონელს, ფრინჭელსა; შენ გაატანე შენი მადლი და მოწეალება!

— აი, გმადლობთ! გაიზარდე დიდი, კაცი! — მიპასუხა მას-პინძელმა.

საჩუნენებლად ჩარექა პირზე მივიუდე და მერე ჩიგლას გადავეცი.

— მაგრე როგორ იქნება, ნათლი-მამილო? ე დალოცება ქარგი გცოდნია და დვინოს კი მარტო უსუნე!

ნათლი-მამას ამაზე სადღაც გაგონილი ლექსით უპა-სუსკ:

— ბერიკაცი თვრესო, ვაუკაცს ცოტა ხვდესო:

გმაწვილს სუნი მიუვიდეს, დმერთს თავვანი სცესო!

\* ) აბრეშუმის ჭიას.

— ჸირ, შენ კი გენაცვალე მაგ მოსწრებულ სიტევაში!—  
შემაქო ნინიამ.

მერე თავის ქნევით სუფრაზე მსხდომთა გასაგონად ჩაი-  
ლაპარავა:

— ეჭვი, რა არის დაღლუცვილი სწავლა: ბალდს გონება-  
დამჯდარ კაცივით ბლაბარაჟის!

— შენ კარგი ლექსებიც გაცოდინება,—მომიბრუნდა მას-  
შინძელი ისევ ძე:—აბა, ერთი კარგი რამე გაგგაგონე ბნელ  
ხალხს!

ლექსები ბეგრი ვიცოდი. მათში უკალაზე შესაფერი იმ  
შემთხვევისთვის ჩემი აზრით „გუთნის ლექსი“ იყო. ჩვენსევა-  
ლე ეელის ჩასაწმენდათ და რისიანად დავიწევე. ხოლო სიტ-  
ევები: „ის უსკულო გუთნის-დედა ქვეშ-ქვეშ გამოიერება;  
იმას არ ეტევის მეზრეებს,—უდივრობა არ იქნება“! მსმენელ-  
თა უკრძალების მისაქცევად უფრო ხმა-მაღლა და ტკებითა  
გთქვი, რომ მათ ტანშიც ისევე დაევლო ქრუანტელს, რო-  
გორც მე მემართებოდა ხოლმე უოფელთვის ამ სიტევების  
თქმის დროს.

— დიდი მაღლობელი ვარ, ჩემთ ნათლიის შვილო! ღმურ-  
თმა შენი პატრიო შენს დავაკერცებას და ბედნიერებას შეას-  
წროს!—სთქვა ნათლი-მამამ, როცა ლექსი გავათავე.

— დედა-ეპცო, აბა კარგი პატივი ეცი ამ პატარა მეალი-  
ლოებს!

ნათლი-დედის პატივისცემა ჩვენს კალათასა და გუდას  
კარგა დაეტეო.

ასევე მოვიარეთ ახლო-მახლო ბინები და საჟსე კალათით  
და გუდით დავბრუნდათ ჩვენს ურმებთან.

გათენდა შობა. ხალხი, დიდით პატარამდე, მაღლა ბვიდა  
პარაკლისის მოსახმენად. წირვა-ლოცვა-კი ნეპრესის ტაძარში,



მის სიძველის გამო, დიდი ხანია აღარა სრულდება. საერთო პარაკლის მოჰქმება პერძო მღოცავთა შემცემილი პარაკლი სები. მერე ხალხმა ნელ-ნელა დაბლა ჩამოსვლა იწეო. მე და ჩემი მმობილები მცირე ხანს კიდევ დავრჩით და სხვა ბაზა ძვებთან ერთად რამის წინ მუხაზე ჩამოკიდულ ზარებს რიგურიგად ვრეკავდით.

დაბლა რომ ჩამოვედით, უველა ურმის ბოლოზე დაკლული ცხვარი ეკიდა: ზოგს ატეავებდნენ, ზოგს, უკმა გატეა კებულს, ასოასთ სჭრიდნენ და ქვაბებძი ჟერიდნენ. აქამი მწერდის ოშეივარიც ადიოდა. ცოტა ხანიც, და „მრავალ ფამიერის“ სიძლერამ მოჰყინა მიდამო, აჲვეა ტუით შემთხილ ნეკრესის მთის ფერდობს და ზევით ზარების წკრიალს შეუქროდა.

ნადიმი სამხრობამდის გაგრძელდა. მერე კი მღოცავთ ურმები შეაბეს და თავ-თავიძნთ სოფლებს მიაშურეს.

## IV

მინ რომ მიგედით, ჩემმა მმობილებმა გამომიცხადეს, რომ ალილოზე აღებული კვერცხების ნახევარი მე მეცუთვნის, რო გორც უმთავრესს მომქმედ პირს; მეორე ნახევარს კი ისინი მუაზე გაიუოფენ. სილი მოლად მე მომთავაზეს, რადგან მათ ძინაც საკმარი ჰქონდათ, მე კი თელავში წასაღებად დამჭირდებოდა.

მე არ ვიუაბულე. გმერცხები ხამივემ თანატოლად გაფიქავთ, ხილის მიღებაზე კი უარი განვაცხადე.

— იცით, რა გითხრათ? — მიგმართე მმობილებს: — მოღი ნამდის ტოტი ვიმოვოთ და ამ ხილით ჩვენი უბნის ბავშვებს „მობის ხე“ გაფუმართოთ!

— ძალიან კარგი იქნება! — სთქვა ფირუზამ, რომლის მაც თბილისში მხარეულად მსახურებდა, და მისგან ხშირად გაეგონა, შეძლებული ქალაქელები როგორ უმართავენ ხოლო მე „მობის ხეს“ თავიანთ შეიღებს.

— კვერცხები გაფეიდოთ, ბლებული ფულით კამფეტები ვაუიდოთ და „მობის ხე“ მოგროთ! — დაუმატა ფირუზამ ცოტა მოფიქრების შემდეგ.

მე ეს ახრი ძალიან მომეწონა. ჩვენ გადაწევეტილებას ჩიგდაც დასთანხმდა.

მეორე დღეს ფირუზა და ჩიგლა მთაში ნაძვის ჩამოსატანად წავიდნენ. საღამოზე ჩვენს მარანს, საღაც გადაწევეტილი გვერდი „მობის ხის“ გამართვა, ურთხელის მოზრდალი ტოტი ამშენებდა; ნაძვნარამდის კი, ღრმა თოვლის მიზეზით, ჩემი მმობილები ვერ ასულიერენ. ამაზე ჩვენ ბეჭრი არ გვინაღელია, რადგან ურთხელიც ზამთარ-ზაფხულ ნაძვნავით ნემსის მაგვარ მწვანე ფოთლებით არის შემოსილი.

„მობის ხის“ დადგმასა და მორთვას რამდენიმე დღე მოვუნდით. ახლა წესრიგი უნდა შეგვემუშავებინა. დავადგინეთ: რადგან ხილი ბლობდა გვირდა, ახალწლის დღეს ჩვენი უბნის უველა ბავშვები დაგვეპატიქნა. ამასთან, ვინც რამე ლექსის იტეოდა, იმღერებდა, ან ითაშაშებდა, იმისთვის ორი ჭომა ხილი უნდა მიგვეცა.

იანვრის პირველს ჩვენმა სტუმრებმა დილიდანვე იწევს მოსვლა.

ბევრ მათგანს მმობილებიც მოჰქევნენ ამ პათვის უკნაურ ღლესასწაულის სანახავად.

ჩვენმა ხრისტა გასტრა: უკელამ განაცხადა სიმღერის, თა- მაძის და ლექსის თქმის სურვილი. ერთმანეთს მოსდევდა: „დედმ კაბა შემიკერა“, „ჩიკრიკისა მთაზედა“, „ჩიტო, ჩი- ტო-ჩიორავ“, „აშრდელი ჩამოცანცალდა“ და სხვა მრავალი სალხური ლექსი, რომელსაც ღედები თავიძოთ შეილებს ენის ამოდგმისათანავე ასწავლიან.

შემდეგ ბავშვებს „შობის ხის“ გარშემო წრე გაგამოთუ- ბინეთ და ვიმდერეთ: „ოდელია ღელა“, „მავლეგო“, „ჩა- რირაშა“ და სხვა.

სიმღერებს მოჰქვა ხონგურის დაპირზ და ცეკვა. ეველა ცდილობდა კარგად ეთამამნა, რომ გამპეთა უურადღება მიე- ქცია და შეტი ხილი რგებოდა.


ბოლოს, ბავშვები მწერივად დაგაუენეთ და რიგარიგად ნება მიგეცით თითო კამფერი, ვაშლი, მსხალი და ჩურჩისელა მოეწევიტა „შობის ხიდან“.

ხილი არამც თუ ეველას ეუო, ხის ქენწეროზე კიდევაც დარჩა დასაკრეფი, რაც ჩვენ, გამგეთ, გავიუავით.

მაშინ მე „შობის ხე“ მხოლოდ გამეგონა, თორებ ნახ- ვით ჯერ არსად მენახა. მეგონა, რომ ჩვენი ღლესასწაული საცოდავი მზგავისება იქო მისი. შემდეგ შემთხვევა მქონდა ბევრ „შობის ხის“ ღლესასწაულს დაჭრებოდი და დაკრწ-

მუნდი, რომ მე და ფირუზას სხვაზე ნაკლებ არა გვიცოდნია „შობის ხის“ მორთვა. ჩიგლასითანა ჩონგურის მოხდენილი დაქვრა და ბურდიანთ უბნის ბაჟშვებისთანა სიცოცხლით საჯ-სე სიძლერა-თამაში და უსაზღვრო მხიარულება კი სხვაგან არსად შინახავს.

დ. ძეგმიანე.





## პირველი შობის ხე

ღმერდა.



ური დამიგდეთ — რა გიამბოთ! ...

როცა დაიბადა პატარა იქსო და  
დვთისმობელმა ბავშვი ბაგაძი თივებზე დაა-  
წინა, ზეციდან ჩამოვიდნენ ან გელოზები  
მის სანახავად. დაინახეს უბრალო და და-

რიბული მღვიმე და ბაგა და დაიწეს ერთმანეთში ჩურჩული:  
— იქსოს მღვიმეში, უბრალო ბაგაში სძინავს! ეს შეუძლებელია!  
უნდა მოირთოს აქაურობა, რაც შეიძლება ლამაზად, მდიდრუ-  
ლად: აქ სომ თვით ღმერთსა სძინავს!

და აი ერთი ან გელოზი გაფრინდა სამსრეთისკენ, რომ  
რამე ეპოვნა მღვიმის მოსართავად. სამსრეთში მუდამ თბილა  
და ჟეაზილები განუწევეტლად ჰეგბუიან.

卷之三

ანგელოზმა მოკრიფა სისხლივით წითელი მრბადლი გარა-  
დი, თოფლივით თეთრი ზამბასი, მსიარული სუმბული, ნაზი  
მიმოზა, მაგნოლია, კამელია, მოსწევიტა რამდენიმე შსხვილი,  
ეკითელი ლოტონი.... და ჰელა ქს მოიტანა მღვიმეში.

მეორე ანგელოზი კი წრდილოვთისკენ გაფრინდა. იქ იმ  
დროს ზამთარი იყო. მინდვრები და ტეჟები მთლად დაფარუ-  
ლი იყო თოვლით და კრთხ უკავილოც არ მოიპოვებოდა.

დაღონებული ანგელოზი უკან დაბრუნებას პირებდა, როცა  
უცბად თვალი შეასწრო ერთ მწვანე ხეს, რომელიც თოვლი-  
დან ნაცვლისად გამოიყრინებოდა.

ან გელოზი შეჩერდა და გაიფიქრა, რა უშავს რომ ეს ხე  
ასე სადა: დევ ამანაც, ამ ერთაღ-ერთმა ჩრდილოეთის ძლიერ  
ნარქებაც ნასოს პატარა ღმერთი, და თან წამოიდო ეს თავმ-  
დაბბლი ჩრდილოეთის ხე, მწვენით მოსილი ნაძვი.

რა ლაბაზად, რა საოცრად იცვალა უკრი მღვიმებ, როცა ევავილებით მოირთო! ან გელოზები გაკირვებით ჩასცემა-როგორ იქსოს და აშშობთნენ:

Եղի, Բյութաց: Օմակ Նմոնճչել!

ჰატარა ნაძვის სე ჸირველად სედავდა ამისთანა მშგენიერ ევავილებს და ნაფელიანად ამხობდა:

— თქ, რათა ვარ ასე ხადა და უდიბაზო? რა ბეჭინირი უნდა იუგნენ ეს უვაკილები! მე კი კერ გაფალმაზებ აქაურობს, ამ დიდებულ ღღესასწაულის ღღეს....—და მწარედ, მწარედ ძრიცრდა ნაძირ.

როცა დვორისმობელმა დაინახა, შეებრალა ნიძვის სე და გაიფიქრა: უკელა კმაყოფილი და ბედნიერი უნდა იქნას დღეს; ჭოდება, რომ ეს პატარი სე ნადევლიანია!

და მან ბლურსიანად გაულიძეა და სელი გააქნია...

ან გელოზმა მოკრიფა სისხლივით წითელი მრავალი ვარს დი, თოვლივით თეთრი ზამბახი, მსიარული სუმბული, ნახი მიმოზა, მაგნოლია, კამელია. მოსწევიტა რამდენიმე მსხვილი, უკითელი ლოტოხი.... და კველა ეს მოიტანა მღვიმეში.

მეორე ან გელოზი კი ჩრდილოეთისკენ გაფრინდა. იქ იმ დროს ზამთარი იყო. მინდვრები და ტეები მთლად დაფარული იყო თოვლით და ერთი უკავილიც არ მოიპოვებოდა.

დაღონებული ან გელოზი უკან დაბრუნებას აპირებდა, როცა უცბად თვალი შეასწრო ერთ მწვანე ხეს, რომელიც თოვლიან ნაღვლიანად გამოიუწეოდა.

ან გელოზი შეჩერდა და გაიფიქრა, რა უმავს რომ ეს ხე ასე სახდა: დევ ამანაც, ამ ერთად-ერთმა ჩრდილოეთის მცუნარებაც ნახოს პატარა დმერთი, და თან წამოიღო ეს თავმდაბალი ჩრდილოეთის ხე, მწვანით მოსილი ნაძვი.

რა ლამაზად, რა საოცროდ იცეალა კუერი მღვიმეში, როცა უკავილებით მოირთო! ან გელოზები გაკვირვებით ჩასცეს როდნენ იქნოს და ამბობდნენ:

სუ, ჩუმად: იმას სმინავს!

პატარა ნაძვის ხე პირველად სედავდა ამისთანა მშვენიერ უკავილებს და ნაღვლიანად ამბობდა:

— ოჟ, რათა გარ ასე სადა და ულაშაზო? რა ბედნიერი უნდა იქვნენ ეს უკავილები! მე კი ვერ გაკალაპაზებ აქაურობას, ამ დიდებულ დღესასწაულის დღეს....—და მწარედ, მწარედ ატირდა ნაძვი.

როცა ღვთისმშობელმა დაინახა, შეებრალა ნაძვის ხე და გაიფიქრა: კველა კმაროვილი და ბედნიერი უნდა იურს დღეს; ცოდნაა, რომ ეს პატარა ხე ნაღვლიანია....

და მან ალერსიანად გაუდიძა და ხელი გააჭირა...



მაძინ მოხდა სასწაული: ზეციდან ნელა დაეშვა ბრწყინვა  
კალე კარსკვლავი და ნაძვის კენწეროზე დაქსენა. მას თანა  
დათან მოჭევნენ სხვა კარსკვლავებიც, და მთლად გააჩიდეს იგი!  
უცხად გამუქდა და უფრო გამხიარულდა მდგიმე!

გამოედებიძა ამ სინათლისაგან პატარა იქსოს, რომელსაც  
ბაგაში ემინა, და გაჩირაღდნებულ ნაძვის ხეს შეარული სი-  
ცილით ხელები გაუწოდა!

უვაკილები კი გაგეირვებული უეურებდნენ ერთმანეთს და  
ამბობდნენ:

რა შევენიერი და რა ლამაზი გახდა ეს ხე: ჩვენ გვაკო-  
ბია. ნაძვის ხე კი თავს სრულ ბერძნიერად სთვლიდა!

ამის შემდეგ უოველ წელს შობას ხალხი თავის პა-  
ტარა ბავშვებისათვის ნაძვის ხეს რთავს ნიშნად იმ პირვე-  
ლი შობის ხისა, რომელიც ნაძვილი კარსკვლავებით იურ  
მორთული.

შარაშ პატარაშიადა.





## ზ'ამთარი




ივა... მაღლით თოვლის ფიფქი  
მოჭყრენს... ჭყარავს არემარეს;  
ცივ საბანში ნელა ახვევს  
ჩემ საუგარელ ტურფა მხარეს.

ტექში სუფევს მეუდროება,  
აღარ ისმის ფრინველთ მდერა;  
უცნოეთში გაგვითრინდნენ,  
მართვეს თავის გერა.

ველზე მგელი დაწანწალებს,  
დამშეული, საზარელი;  
სურს საჯილო გაძონასოს,  
აადინოს ზურგზე მტვერ.

გამხმარ სეზე ეორანი ზის,  
თვალებს აჭერის, უხარია,—  
და იქიდან გადმოგვჩხავის:  
ზამთარია!.. ზამთარია!...

გ. ელიზაშვილი





## შაშვი



დაზამთრდა. თოვლის სუდარა  
გადაეჭარა არესა;  
ათას სხად მსტევნი ფრინველი  
წასულან თბილასა მხარესა.

არ გვიღალატა ჩვენ მხოლოდ  
შაშვება, საამო-ხმიანბა,—  
ევთელ-ნისკარტამ, ჟახშახამ  
და შავად მზხინავ-ფრთიანბა.

მატლებსა სძებნის, თუმც ხშირად  
რჩება კუნელის ამარა;  
ეინჯამ და ზოგჯერ სიმშილმაც  
კინაღამ დაასამარა;

მაგრამა მისი ჟახშახი  
გარს ეუინება მთაველსა;  
უქარევების დარდს და კაეშანს  
კაცსა, თვის ქომავ-მფარეველსა.

როს ზამთარს გამოუგზავნის  
თვის უსტარს გაზაფხულია,  
გლეგი ძინდორში გამოვა,  
გაიჭიმება სნულია,—

შაშვი თვის ჟახშახს სტევნაზე  
სცვლის, გალობს ნარნარ სძაზედა;  
დაბლა კაცს უტებობს სმენასა  
და გამჩენს—მაღლა ცაზედა.

ღ. ძემამიძე.



ს ა გ ა ნ ი ვ ე მ ი

11

ამება. სამხეცები ბნელა და სიჩუმება. ცხოველები კვერცხისათვის გვიცნებისათვის კუნძულის მიერჩებულა. ქალაქების სძინაური მხოლოდ ქარი ფხიზლობის უხევად მიუკალოვებია თოვლის ფიფქი ღობის ძირებში. სამხეცები ცივა და შმორის სუნი სდგას.

— თხ, ნეტავი აფრიკაში დასვა! — ამოიოხოდ უცბად ჟირაფება და სამსეცქს ჭერს რქები ჰქონა. რა ნაირად მენატრება საშმობლო და ცხელი მზე, რა ნაირად! აქ მუდამ თავი მტკიცა.

— მერე და რაღა თავს უტრებს ჰერს? — ეკითხება სპილო.

კირაფება უფრო მძიმედ ამოიხვნება:

— ეს შეუძლებელია: ჩემი მზგავსი ცხოველი ღერამიწის ზურგზე არ მოიძებნება: კინერი მაღზე გრძელი მაქვს, რომ გორც გედს, ფეხები—მაღალი და სწორი, გაუთვილი ჩლი ქებით. განა ვერ მსედავ, რომ შენზე ორჯერ მაღალი ვარ? ჭო და შემიძლია კი თავისუფლად გავიძმორთო ამ დაბალ სამხედრო? ტიალმა ბედმა გადმომტეორცნა აქ, სადაც ჰელავარი აუტანელია ჩემთვის და ერთი სინა მხოლოდ-და სიკვდილ შია, რასაც აუღელებლად მივეგებები, თითქმის სისარულით. ნეტავი მაღე მომიღებდეს ბოლოს-და! ნახევარი წელია, რაც არ დაშიძინა...

— მიწერი და მიიძინე!—შემოსძახა კენგურუმ:—გაგონილა განა ამდენი უძილოობა?

— აბა ერთი მიჩვენე, — გულ-დაწევერით მიუგო ეირზუ მა:—ჩვენ საზოგადოდ გვძინავს მაღიან ცოტა და ფხიზლად; გწევებით სოლებე გვერდზე, შემოვიყეცავთ წინა ფეხებს და გაშესლართავთ მიწაზე კინერს. აბა სად დავწევ აქ? სად გაგშესლართო კისერი?.. არა, ეს შეუძლებელია!

საცოდავად დაიკვნესა რომელიდაც მსეცმა და მძიმედ ჩაახეველა აყადმეოფმა მაიმუნმა. ცოტა სნით მუშადროობა ჩამოვარდა. მხოლოდ ქარი არღვევდა სიჩუმეს.

— მოგვიუვეთ რამე... დაარღვია შეუდროება სპილომ.—ლამა დიდია... შენა სთქვი, რომ სამსრეთ აფრიკაში დავიბადეო; როგორი სამეოფია იქ?

— თო, ვერ წარმოიდგენ, — უცბად წამოიძახა ქირაფმა, — რა კარგია ჩემი სამშობლო! მშვენიერი, დაბურული ტემ, სადაც ადამიანს არც გაუვლია: საუცხოო, აუარებელი ხილი, განიერი, დიდი ძინარები და თვალუწვდენი უდაბნოები, უსაზღვრო მინდვრები, ჩემი საჯირითო მოქანდანია. ქირაფისთვის სირბილი აუცილებელი. ღმერთმა მომცა გრძელი ფეხები, რომლის

შეგავსი არცერთ სულიერ არსებას არ აბადია.—მე კი წლით წლობამდე ზეზე უნდა კიდევ ამ დასაქცევ სამსეცემი ერთ ალაპას და ჰერს თავი ვურახუნო. რა საძინელება! მაგონდება, როგორ დავრბოდი დედის გვერდით, რომელიც თითქმის სამი საჯენის სიმაღლე იქნ. მაღიან ვუკარდი დედას. ვწოვდი დედის მუძუს და სწრაფად ვიზრდებოდა. ერთი წლის ბოლოს, როდესაც ისე წამოგიზარდე, რომ საჭირო გახდა ჩემი ხილითა და ხის ფოთლებით კვება, დედა ჰქრეუდა ჩემთვის ხილსა და ფოთოლს თავისი მოძრავი გრძელი ენით, როგორც სპილოს სორთუმით, და მიღებდა პირში. მე მხოლოდ ვდეჭავ და და ველაპავდი. რა ბედნიერი ვიუავი მაშინ! ჩვენ დავდიოდით კოგად, მთელი დღეობით დავდიოდით ქვიშიან უდაბნო ში; სან ტექს შეეაფარებდით თავს. ჩვენი კოგი შესდგებოდა თექვსმეტი სულისავან; საუცხოო სანახავი იქ ჩვენი ჭრალი ტანი, შეგზე მოელეობრე.

მუდამ მაღლრები ვიუავით: იქ იზრდებოდა აუარებელი აკაცია და მიმოზა. აი, მმათი ფოთლებია ჩვენი პირის გემო. თითქმის ჟოველ ნაბიჯზე ვარულობდით მიმოსის ნოვიერ ფოთლებს. ბალანით თითქმის არასთედს არ ვიკვებებით. ფეხები გვაქვს მაღიან გრძელი და ეს გვიძლის ბალახობას. მხოლოდ ისეთ ადგილებში, საღაც მაღიან მაღალი ხეები იზრდება და იმათ ფოთლებს ვერ შევსწოდებით, აი ისეთ ადგილებში მაღალებურად გვინდება ბალახობა, მაგრამ უნდა ნახოთ— სასაცილო სანახავი გართ მაშინ! ბალახობის დროს მაღიან უნდა გვაქვსლოთ განზე ფეხები, რომ მიწაზე ბალახს დაჭრედეთ. ხმირად დიდი ხნით ვრჩებით ასეთ სასაცილო მდგომარეობაში— გვიმნელდება ჩვეულებრივად წელში გახწორება; ზოგი მანამდის რჩება განზე ფეხებამღილი და საბალახოდ თავუდახრილი, სანამ მეორე არ მიეძველება და არ წამოაუკენებს.



აი, ამ დროს ვართ ჩვენ უმწეო და შესაბრალი. უკელა მხედრები შეუძლია დაგვაცხრეს და დაგმებლიკოს. მიუხედავად ჩვენი სიმაღლისა, ჩვენ სუსტი არსებანი ვართ და ჩვენ სამშობლოში, აფრიკაში, მუდამ ძიშნს განვიცდით. მასსოვს, როგორ მაფრთხილებდა დედა ლომისა და ვეფუძისაგან.

— იუვი ფრთხილად,— მეტეოდა ხოლმე: — ვეფუძმა ისეთი ოსტატური მოპარევა იცის, რომ თავს ვედარ დააღწევ. ვეფუძი სისხლის მსმელია, მტაცებელი, ჩვენ კი — უწეინარი, საცოდავი ცხოველები: ჩვენი დაჯაბნება ადვილია.

მართლაც სმირი იუთ ისეთი შემთხვევა, რომ ირგვლივ მრწოდება ლომები და ვეფუძები ჩვენი ხორცის მოლოდინში, მაგრამ ჩვენ ძორიდან ვერმანობდით იმათ ძოახლოვებას და გაქცევით ვმუელოდით თავს.

თუ ნესტოები ღია გვაქსენ — ენოსვა გვმუელის ხოლმე, მაგრამ თუ პირქარისაგან გამოსროლიდ ქვიშას მოვერიდეთ და ნესტოები შეკვემდეთ — მაშინ თვალის იმედით უნდა ვიუთო; თუმცა მაინცადა-მაინც საქებარი თვალები არა გვაქსე. შესახედება ისეთებია, როგორც ძაღლის და ცხენის, ისეთივე უწეინარი: მაგრამ რა გამოვიდა? რამდენჯერ აი აქ, ამ სამხეცები, წამიგლეჭია ქალისთვის თავზე ხელოვნური უფლებულებით შემკული ქუდი და თავისი მავთულებით შემიჭამია! რატომ? ნამდვილი უვაფილების თაიგული მგონებია! ქალები მიკავრდებიან; მაგრამ რა ჩემი ბრალია!

ამ დასაქცევები საშინელი მურალი ჟაერია; იძულებული ვარ პირით ვისუნთქო; ქნოსვა ვერ მშველის საგნების გამოყნობაში და თვალები მუდამ მღალატობენ.

— ჟო, რა მოხდა შემდეგ? — ჟერით უცბად სპილომ.

— შემდეგ?

— ჟო, შენ არა სთქვი — დედის გვერდით დავრბოდით, ფოთლების ჭამას შევეჩვიერ? რა მოხდა შეძეგ?

კირაფა ღონივრად მოიხვეშა.

— შეძეგ უბედურება მეწია, — განაგრძო ქირაფა: — ჩვენ დიდ ხანს ვირბინეთ ტრიალ მინდოოზე, დავიქანცეთ. ღამებაც მოგვისწრო და დავდექით დამის გასათევად. უკვე გითხარით, როგორ ვწევბით სოლმე დასაძინებლად. უკელიძე, ვინც კი ვიგავით, გავიშლართენით და გავჭიმეთ კისრები. არ გვეძინა, როცა ერთი ჩვენგანი წამოსტა და დაიძხა:

— აბა ვის შეგწევს ღონე, რომ მეჭიდავო?

— კეთილი, მზადა ვარ: აბა ვნახოთ! — წამოიძახა ჩვენსა წინამდლოლმა და გაჭირვებით წამოდგა ზეზე.

მიუახლოვდნენ ერთმანეთს და დაუშინეს უკანა ჩლიქები. ჩვენ ვიწევით და ისე ვუცეკეროდით ამ საუცხოო ღუელს.

მალზე მემინებოდა, მაგრამ დაგმლივ მილი და ვუცეკერდი. უცბად წატორტმანდა ჩვენი წინამდლოლი და მთელი ტანის სიმშიმით მიწაზე დაეცა, გაიშლართა. თურმე ას ა თა ჭიდავებ მალიან ღონივრად სოხლისა მას „და სული გაანთხევინა! შევმინდით და იმ წამსვე უეზე დაგდექით. მილი გაგვიფრთხა. მე მიძისაგან კანკალმა ამიტანა.

— რადა ჭქნათ ახლა უწინამდლოლოდ? — წამოიძახა დედა ჩემმა: — ვინ გაგვიძლვება?

ჭარეტიანებულებივით ერთმანეთს შევსცეკეროდით. თითქოს ჯიბრზე, ამ ღროს ჩვენთან გაჩნდა ბანჯგუბლიანი, ვევბერთელა ლომი. ჩვენი ფალაფების ჭიდაობის ღროს თურმე მოგვეპარა და ისე ახლო იქო ჩემთან, რომ ერთი სკუპით და მაცხრებოდა თავზე და დაბიჭვერდა. მიძისაგან გავიფანტენით. დედას ჩამოვმორდი; შეოლოდ ეს გავიგონე: — თავს უშველა, შვილო, გაიქეცი რაც მალი და ღონე შეგწევს.

მე გავხტი განხე, დავებარგე კოგი და მოვეურცხლე მარტო. გამომიდგა ლომი. მივრბოდი, როგორც რაძი. ჩემი სელუ ში ჩაგდება თითქმის შეუძლებელი იქთ; მაგრამ მე ვიტავი ახალგაზდა და ჰატარა: ფეხები არ მქონდა გამაგრებული, და ლომი აუცილებლად დამისკერდა და გამგლევდა; მაგრამ მი-შეელა დაბურულმა ტექმ, რომელშიაც შერდულივით შევგარდი და შევაფარე თავი. ჩექნ გადახტომაც სხვანაირი ვიცით: ფეხებს სრულებით არ ვღუნავთ. მივიმალე თუ არა ტექმი,—გავიქეცი მარჯვნივ, მერე მარცხნივ და ჩემ მოსისხლე ლომს გზა დავუბიყ. სამშვიდობოს გასული—შევჩერდი, სული მოვითქვი და მოვისევდე უკან. არც დედა, არც კოგი: მარტოდა მარტო ვარ! მალზე შევწუხდი.

— სად არიან ნეტავი ახლა ჩექნები?—ვუიქრობდი:—სადა დედა-ჩემი?

კიდევ შევჩერდი ცოტაოდენი; დავრწმუნდი, რომ ლომის შიში აღარ უნდა შეონდეს—ვედარ მიბოვნის; გადავწევიტე ჩექნების მონახვა. მოვარე ახათებდა; ღილაც მოახლოვებული იქთ. გავშალე ნესტოები და სარბად დავეწავე ღილის სუფთა ჭარს. ვარსკვლავებს ფერი წაუკიდათ. მოვარეც გაფითრდა. აღმო სავლეთი ალისფერად შეიღება. ამდენი სირმილისა და მღელუ ვარების შეძეგვ მალზე მომსიჯოდა. სარბად ვგლევდი ნორჩ ელორტებს და სიღს. მალიან მეადვილება ეს მუშაობა: ჩემი ენითა და ზექითა ტუჩით ვისკერდი სექბის ტოტებს. როგორც სელში, ისე მეჭირა. მოქნილი ენით კი ფოთლებს ვაცლიდი და ვიღებდი ჰირში. ენა ისეთი იაზადია ჩემთვის, როგორც შენთვის სორთუმი. ენით შემიძლია ავიღო ჰაწაწეინა საგნები.

მივდიგარ ტექმი. უცებ ვხედავ მდინარეს და მდინარის პირად—კვბძლს. საძინლად მწურია, მაგრამ ეს ქვამლი მა-

შინების. თავის დღეში არ მენახა კვაბლი და მომინდა ახლო  
მისგან და ნახვა.—ნერა რა უნდა იქოს?—გამბობ გუნებაში.  
თანდათან კუასლოვდები და გაფაციცებით გავსცემი. უცბად  
ბუქნარში რაღაც ძეინძრა და მომესმა უცნობი სმა. კიდევ  
უფრო ახლო მივედი და დავინახე ძავებანიანი ხალხი, რო-  
მელიც ცეცხლს ძემთხვეობდნენ. ცეცხლზე ქაბი კიდა და  
დუღდა. თავის დღეში მზგავსი არაფერი მინახავს და თავი  
სიზმარში მეტონა. გიღები და განციფრებით შეცცერდი ხალხს.  
მიკვირდა იმათი ძავი კანი, მოკლე კისერი და ქაბს ქვე-  
მოგიზგიზე ცეცხლი. ერთი ზანგი უცბად მოტრიალდა ჩემკენ  
და დამინახა. ახლა შემშე კაი ხნის გათენებული იქო და ჩემი  
დანახვა—ადგილი იქო. ამან წამოიცემირა გაკვირვებით, ხელი  
ჰქონა ამხანავს და ჩემსკენ მოახედვინა.

— Ջյեջյ, Ջյեջյ, „Կյուծոյ“!

სიტეგა „ზერაფე“ ნიშნავს მშვენიერს, ტურფას. აი, აქი-  
დან წამოსდგება სიტეგა ეირაფი. და მართლაც ჩვენ ისეთი  
კარგები ვართ, რომ სწორებ შებეჭდერება ეს სახელი. სანძ  
გრის მოვიღოდი, სწავლა ზანგმა თოვს სელი, გაბეჭთა ულფი  
და შესროლა. ვცადე გაქცევა, მაგრამ გვიანდა იუო. ულფი  
თანაბათის მიწერდა კისერში და ბოლოს სული შემიგუბდა.  
თვალთ დამიბნელდა. გაეხდი ტეპე.

— ქვირფასი უღუდაა! — სისარულით წამოიძახა ზანგმა. — როცა გაიზრდება, დაკველავ და მოელი ოჯახი გაძლიერა. განა ერთხელ გქამით? დიდსანს გვემოვ!

— განა ქირაფის სორცს სჭამენ? — შეგვითხა სპილო.



— დიახ, ჩვენც ხომ ისევე გაუოფილი ჩლიქები გვაქვს,  
როგორც ძროხას. ის კი არა, ამბობენ რომ ჩვენი ხორცი  
ძალიან გემრიელიცაა. ადამიანი რას არა სწამს!

შორს, სამხედრეს კუთხები მმინარება თუთიუუმა ფრთა  
ფრთას შემოკრა. რომელიდაც ზატარა მხეცმა დაიწრიანა. ისეპ  
სიხუმე ჩამოვარდა.

— აბა, მოჰევე: შემდეგ რა მოხდა? — ეკითხება სპილო.

— დღითი დღე სიკვდილს ველოდი; ეოველ წუთში ვუიქ-  
რობდი: აა ახლა მოვა ზანგი, — დაძელავს და შემჭამენ-მეთქი.  
მაგრამ ერთ დღეს მოვიდნენ თეთრუკანიანი სტუმრები და კაი უზ-  
ლი დაუთვალეს ზანგს. ეს ჩემი ფასი იქთ. თურმე ეროვნიდან  
მოსულან აფრიკაში ზოლოგიურ ბადებისათვის და სამხე-  
ცებისათვის გარეული ცხოველების სასუიდლად! წამიუგანეს.  
მთელი დღე ვეთრიე ფეხებ-შეკრული.

საღამოს მიგატანეთ ერთ დიდ სოფელს, რომელიც ოკეა-  
ნეს პირად იქთ გაჭიმული. საძინლად მშიოდა. მთელი დღე  
არც მიქამია და არც მისეამს; სასა გამიშრა. შემიბრალეს და  
ერთი კონა ახალი ბალახი მომიგდეს. გამისსნეს წინა ფეხე-  
ბი; მაგრამ იმისთანა შენს მტერს, რაც ტანჯვა მე გამოვცადე  
ბალახის ჭამის დროს! ბალახი მიწაზე გდია მოსულეტილი.  
მაღალი ფეხები განზე გაფაგდი და დიდის ტანჯვით დავიბუ-  
რე სული. არც მახსოვეს, როგორ მოვახერსე ჭამა. მთელი ღამე  
აუტანელ დარდმი გავატარე, — სულ დედა მეღანდებოდა. შემდეგ  
მომათავსეს ეკროპაში მიმავალ გემზე. გემი აკეთივით ირ-  
წეოდა და ჩემი გრძელი კისერიც საქანელასავით სან მარჯვნივ,  
და სან მარცხნივ ეანტალებდა. გამოუთქმელია ის ტანჯვა, რაც  
მე გემზე მგზავრობის დროს გამოვცადე: თავბრუს სკეცა, გუ-  
ლის რევა, მთელი სხეულის ტკივილი! როგორ მინდოდა სამ-



შობლოში თავისუფლად დაბრუნება! ამ ოცნების დროს მხოლოდ სიკვდილს ვემუდარებოდი ღმერთს.

მივედი ევროპაში. დაღლილი და ავადმუოვი შემიერანეს რეკინის გზის ვაკონში, რომელსაც საგანგებოდ ჰქონდა ჩემთვის გამოჭრილი ჰქონდა. გამოჭრილ ჰქონდა გავეავი კისერი და ასე ვიმგზავრე. ახლა ცივი ქარი, ორთქლმაგალის მერალი კვაბმლი! ასეთი აუტანელი წუთები თითქმის არ მახსოვეს. ვიგონებდი შორეულ სამშობლოს და მწარედ ვსტიროდი. მიმიერანეს ერთ დიდ ქალაქში და ზოოლოგიურ ბაღში მომათავსეს. ჩემთვის შემოერავათ გალისავით მოზრდილი ზღვისა, საადაც გახტომ-გამოსტომაც შემძლო. მაინც სიყიროვეს ვერმნობდი: მე მეჭირვებოდა გაქცევა-გამოქცევა, დახუთული სხეულის საწილების ამომრავება. ეს კი ჩემს ეზოში არ შეიძლებოდა,—ძალიან ვიწრო იუო ამისთვის. მომაწვა სევდანადგელი; მყნატრებოდა აყრიკის მხე. ვებანკალებდი ცალკე სიცივისა, ცალკე სიმშილისაგან. გვიძლი კი, რასაც ჩემი მსახური მომართმევდა. შემოდიოდა ხოლმე ჩემს ეზოში, მეალერ-სებოდა, და როცა მაუერებლები მოგვიახლოებოდნენ, თავს დაუკრავდა, მე სელს გამომიშვერდა და მეუბნებოდა: „ეს ჩემი პაწია ვაკი გახლავთ“.

მე შეიძლებოდა ის და უმისოდ მოწევნილი ვიჟავი. რომ გავემსიარულებიე, შემოუშებდა ხოლმე ჩემთან რომელსამეორჩლიერა ცხოველს, და მეც ვთამაშობდი. განსაკუთრებით თხასთან თამაში მიევარდა. მე ვევერთელა ვიჟავი, თხა-კი— შედარებით პაწაწინა! ეს სელს არ გვიძლიდა: მუდამ კმაუთლივი ლი ვიჟავით.

კველაზე მეტად დაგმეგობრდით მე და ჩემი მსახურის ძალი. ის მსიარულად სტოდა და ჰეეფდა, როცა ჩემთან იუო. მეც ვეთამაშებოდი. ერთხელ თამაშობით წასალისებულმა წა-

ვატანე ენა და ზეპითა ტუჩი კუდძი, აგწიე ზეპითა, მაგრამ იმისა-  
თანა შენ მტერს! უცბად დაიწერულია და მეც უცხბედათ გაძ-  
ვარდა მიწაზე. მუცლით დაცა საცოდვეი მიწაზე, გახდა აფად  
და დიდი სანი აღარ უცოცხლია. მიკვირს, როგორ გადავიტა-  
ნე იმის დაკარგება. მსახური საკუთრივი მეტეოდა სოლიქი:—  
აი, შე საძაგელო, შენა! სედავ—რა ჩაიდინე! სადღა ვიძოვი  
ისეთ ერთგულ მეგობარს, როგორიც ბარბოსი იყო? და ამ  
სიტყვებზე თვალები ეცრებლებოდა.

ჩემთვის ეს აუტანელი იყო. ოჭ, როგორ ვნანობდი იმ  
უბედურ გაუფრთხილებლობას; მაგრამ ასლა წამხდარი საქმის  
გამობრუნება შეუძლებელი იყო. მალე იმ მსახურმაც თავი  
დამანება და ამას ტანჯვა შემისუბუქა.

შემდეგ ჩვენ ზოოლოგიურ ბაღში ცხოველებს გაუჩნდა  
რაღაც ჭირი. დამემართა მეც. როდესაც გამოვყობინდი, გა-  
ვიგე, რომ ჩემი მეზობელი მსეცები დახოცილიერნენ. მე კი  
ბაღანი მცვიოდა. გავხდი, დავუმნოვდი. ერთგვარმა მუწესებმა  
დამიტიჭენა ზურგის ტეავი. ლამაზი ქმნილება, რასაც მე ჩემ  
სამშობლოში წარმოვადგენდი, გრძავიქეცი საცოდვა, მძინა-  
არსებად, რომლის შეხედვა ზიზღს თუ გამოიწვევდა!

ერთხელ მოვიდნენ ჩემთან ჩვენი ბაღის დირექტორი და  
საქონლის ექიმი; დამათვალიერეს, რაღაც ილაპარაკეს თავის-  
თვის; ბოლოს დირექტორმა სთქვა:

— უნდა გავეიდოთო!

— უთუოდ! — მოუგო ბეითალმა. — ეს ემჯობინება; მალე ზამ-  
თარიც მოვა. რად გვინდა მეტი ბარგი?

შემდეგ მოვიდა აი ამ სამსეცხეს პატრონი და იუიდა ჩემი  
თავი დირექტორისაგან. ის იუ და ის. იმ დღიდან არ და-  
მინახავს შესის სხივი; არ ვიცი, რა არის სუფთა ჭავერი. თუმ-  
ცა იმ ჭირისაგან მალე მოვრჩი, ბაღანიც ამომიუიდა, მაგრამ

զըրմենօծ, Ռու յէ խալսէիրան խալսէի եցիունու ցուզագ մռէ  
մըջեցէ հյժմէց: ԶՀՈՒ ԶՀԵ զմէնսին պացեցու, զըլանսազցեցու ԶԱ  
ՑՔՅԱՋՈՎ մալյ մուշքցեցու. ԿՈՐՆՅՈՒ ՌՈՒ ԱՌ ՎՐԵՄ, մագլունան չ  
զօնէ՛՛ ՌԵՋԵՑՈՒ! մարդու ՍՊՐԻՆ կըտունու ողբալցու ՏԵՇՏ, զութրց օմ  
ՄԱՆԱԿՄԵՐ ԽԱԼՍԵ, ՌՈՎԵԼՈՒՑ ԲՅԵՆ ԽԱՆԱԽԱԳ ՏԵ ՇԵՖՈՒՆ ԶԱ ԲՅԵՆ  
ՌԵՆ ԱՅԱԺՈ ՇՄԱԼ ՕՏԳՈՒ.

ოჲ, ოოგოო შემძლდა აღამიანები მათი სიმკაცრისათვის! ეირაფი განუდა. სამხეცემი მეუღლოება დამეარდა. მსოლოდ ქარი ღმუოდა წინანდებურად და ნამეტს ათაბაშებდა.

ଶ୍ରୀ ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧୀ






## ପ୍ରତିଷ୍ଠାତା ତାମାଜି

ହେଉଲା କେବେଳିଟ ମର୍ଯ୍ୟାଦାନିଲ୍ଲି କାହେଲ୍ଲେବୀଳି ଶିରଙ୍ଗେଲ୍ଲି ବସନ୍ତିଳି  
ବିଲ୍ଲେତ ଫଳ କେବେ ଶ୍ରୀମତୀରେତୀତ, ରଂଧ ଗାମତ୍ତେବିଲ୍ଲେକ କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି ଶିର୍ଯ୍ୟିଳି  
କାହେଲ୍ଲି:

ଶିରଙ୍ଗେଲ୍ଲି କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	ପ୍ରତିଷ୍ଠାତା ତାମାଜି	ଶିରଙ୍ଗେଲ୍ଲି କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	ବିଲ୍ଲେତ ଫଳ	ପାତା- ଲାଲ	ମଲିନ- ର୍ଯ୍ୟ
କେବେଳି	କେବେଲି	କେବେଲି	କେବେଲି	କେବେଲି	କେବେଲି
କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି
କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି	କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି




## କବିତାଚି

(ଶିରଙ୍ଗେଲ୍ଲି କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି କୁରିତଙ୍ଗେଲ୍ଲି)



(ସେ. ପତ୍ର-୫୦ ପାଇଁରେତ୍ତିଲାଇ)



მე-19 და მე-20 №№-ში მოთავსებულ აკროსფიტის, სიცეკა-მარცვალ  
ასოებით ვარჯიშობისა და რებუსის ახსნა:

1) მერცხალი, 2) კალამი, 3) მდინარე ჩაქვი შავ ზღვაში ჩადის.

მე-21 და მე-22 №№-ში მოთავსებულ შარადის და ჭეარის ახსნა:

1) შარადა, 2) ჯვარის ორივე მხარეს შარცვა-  
ლი ამოილეთ და გადააგდეთ, ჟევითა შარცვალი კი  
ქვევით გადმოიტანოთ, მაგრამ მარცვალი კი  
ათ-ათი შარცვალი მიუხედავად იძინოდებოდა რომ ორი  
მოვაკელით.

1		
0		
0		
	—00	0 00—
0		
0		
0		
0		
0		
0		

მე-23—მე-24 №№-ში მოთავსებულ სიცეკა-თაბაშის  
და რებუსის ახსნა:

1) იროდიონ ეელოშვილი, 2) ჯამე მაშინდია და სატრუბი საზღვა.

მოწვევა გერმან მოწვევა 1917 წლისთვის.

კო.ვალ დღიური საპოლიტიკ. და სალიტერატურ. გამოთი.

„სახალხო ფუნდები“

სურათებიანი დამატებით წელიწადში 15 მანეთი ღირს.  
ნახევარი წლით 8 მანეთი, სამი თვეთი 5 მანეთი.

წლიური ფასის შემოფანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერის დროს 7 მან. პირველ პრინციპთან  
გიშ 4 მანეთი და 1 ავტისტოსთვის 4 მანეთი.

კანტორის ხელის მოწერისათვის ღია დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ხომალის 5 საათიდან 8 საათამდე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, „სახალხო უნივერსიტეტი“  
სისახლის ქუჩა № 6 თბილის, რედაქცია „Сахалхо Пурцели“  
 поч. ящ. 190.

„სახალხო უფროებები“-ზე მონაცილეობას იღებენ:

აბაშიძე ქარა, აბაშიძე გოგი, აბაშიძე შემედ, აბაშიძე აკ., აგდაშე ი.,  
აზიანი ნ., ბაქრაძე იას., ბებაძეშვილი რომ., ბერიძე ვაჟა-ფა, ბერიძე  
განიშვილი იოს., ბერიძესანი გრ., გოგოლაშვილი ი., დადანი სამ.,  
დუბრივესკა ნ., თავაძეშვილ ეჭ., კოტებულშვილ გახ., დასხამებილი  
გ., დადანი გრ., გარეა, მებრელი ღურუ, მირიანიშვილი პ., რო-  
ბაქიძე გრ., ჰამიდა აკ., რაჭელი ქრ., რცხილაძე გრ., სიტყვა, სი-  
განიძე, უზანაძე ღ., ფინტვა ი., ფალავა აკ., დალინტო თ., უფ-  
შიძე ი., წერეთელი აღ., ჭიშმურიძე გ., პრ.-ღ. ჭავახიშვილი იკ.,  
ჭავახიშვილი აღ., ჭავახიშვილისა თეოდოსია, ჭავახიშვილი არ., და სხვ.  
დამაცეცხაში. ბართვე, ბაჩანა, კრისტებილი ი., დაღიანი შოთა,  
დიხელი ღ., მეგალობლიშვილი ს., მღვიმელი შ., მეტელიშვილი ი.,  
რაზიაშვილი თ., სიღოვანი, ფეხალიშვილი ს., ქაჩელი ღურ, ჭა-  
ვანაძე გ., ჭიშმურიძე ა., ჭავახიშვილი ჭ., და სხვ.

7/136

# მიმღება ხალის მოწერა 1917 წლისათვის.

დასურათებული საყმაწვილო ეკრნისალი

წელიწადი „ნაკადული“ შეცამდეთი. წელიწადი „ნაკადული“ შეცამდეთი.

ეკრნის „ნაკადული“ გამოვა წევეულებრივი პროგრამით, საგანგე-  
ბოდ მოწევეულ სარედაქტიო კომისიის ხელმძღვანელობით.

ერთეული გამოდის თვეში ორჯელ

**24** წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთვეის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გა-  
მოქნილ მხატვართა ნახატი.

ფასი ეკრნისალისა: წლიურიად ორივე გამოცემა—5 მან.—იმათ-  
თვეის, ვინც ეკრნისალს რედაქტიოში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან.  
ნახევარი წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კპ. ცალ-ცალკე:  
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კპ.  
მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კპ.  
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ეკრნის „ნაკადული“ არ  
მისდით, ერთ თვეს განმავლობაში გვაცნობონ და იღრესის გამო-  
ცვლა დროზე შეგვატყობინონ. იღრესის გამოსაცვლელად—40 კ.  
შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

## ხელის მოწმია მიღლება

თბილისში—„ნაკადულის“ რედაქტიოში, ზუბალიშეილის სახლი,  
გოლოვინის პროე. № 8. რედაქცია „ნაკადული“, გოლოვინიში. № 8.  
შემოსხველები დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამაცნუ-  
ლებელ სახოგადოების წიგნის მიღლივიში, სისახლის ქუჩა; ქუთახე-  
ში—ისტორიუ კულტურისთან, მ. ყაუჩინშეილთან და თ. მთავრი-  
შეილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძესთან. ბათოშში—ტრი-  
ფიმ ინისარიძესთან ფოსტაში, ჭ. სამსონ ყაზანიშეილთან—ჟალიერ  
გამგეობაში. თელავში—ვანო პაარტოშეილთან. ახალციხეში—კონს-  
ტანტინე გვარამძესთან. ბაქეთში—მეთოდე კაკაბძესთან. გორ-  
გი—ქეთევან ჯავახიშეილთანტინო ლომისურთან. ჭიათურაში—ივ.  
გომელაურთან. ხონში—გ. ი. ჭივანიძესთან. მიხაილოვოში—გი-  
ორგი ნიკაშიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაერმიძე

გამომცემელი შ. პავლე იახების-ძე თუმანიშვილი.